გილოცავთ ახალ წელს, ქვირფასო მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 1 (3995)

1 იანვარი. ხუთშაბათი. 1970 წ.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საახალწლო მილოცვით მიმართეს საბჭოთა ხალხს.

მილოცვაში ნათქვამია, რომ 1969 წელი „... იყო შთაგონებული შრომისა და შემოქმედებითი გამარჯვებების წელი.

ჩვენი სამშობლო გულდაჯერებით მიდის წინ დიდი ლენინის იდეებით გაცისკროვნებული კომუნიზმის მშენებლობის გზით. საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა ხუთწლედის მეოთხე წლის ძირითადი დავალებანი. მწყობრში ჩადგა ასობით ახალი საწარმო, ფართო მასშტაბით ხორციელდება ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობა. ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში...“

მილოცვაში ლაპარაკია შესანიშნავ საბჭოთა ახალგაზრდობაზე, რომელიც მზადაა შეასრულოს პარტიის ყოველი დავალება.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად მოგილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ თქვენი სურვილების, გეგმების შესრულებას და ჯანმრთელობას. დაე ახალმა წელმა თითოეულ საბჭოთა ოჯახს მოუტანოს ახალი წარმატებები და სიხარული ცხოვრებაში, შრომასა და სწავლაში!“

დაჯილდოვდნენ! / დაიმსახურეს!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ: **სპორტულ ტანვარჯიშში** — ა. გაბრიაძეს (თბილისის „დინამო“), ო. მიქელაძეს (თბილისის „სპარტაკი“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ი. ალიხანოვს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **ფეხბურთში** — გ. გაბუნიას (გორის „განთიადი“).

გდრ-ის ჯილდოს გადაცემა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში ჰ. ბიტნერმა 30 დეკემბერს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს კ. ანდრიანოვს გადასცა ვერცხლის ორდენი „ხალხთა მეგობრობის ვარსკვლავი“.

კ. ანდრიანოვი დაჯილდოვდა იმ დიდი წვლილისთვის, რომელიც მან შეიტანა გდრ-ის სპორტული მოძრაობის განვითარებაში და მის საერთაშორისო აღიარებაში.

სპორტული 1969 წლის გმირები

1969 წელი სპორტული მოვლენებით უაღრესად მდიდარი იყო. საბჭოთა ათლეტებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში, მრავალ ტურნირში, სხვადასხვა ქვეყნის ღია ჩემპიონატებში.

ქვეყნის ბევრი ნაკრები გუნდის შემადგენლობაში საბჭოთა სპორტის ღირსებას წარმატებით იცავდნენ საქართველოს წარმომადგენლები, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების ძმურ ოჯახში სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე „სპორტულად“.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ შეაჯამა სპორტული 1969 წლის შედეგები და ჩაატარა ტრადიციული საახალწლო გამოკითხვა ჩვენი რესპუბლიკის ათი საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. გთავაზობთ ამ გამოკითხვის შედეგებს:

1. სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი (ჭადრაკი);
2. სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. რურუა (ჭიდაობა);
3. სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ლომიძე (ჭიდაობა);
4. სპორტის ოსტატი ნ. ალექსანდრია (ჭადრაკი);
5. სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე (ველოსპორტი);
6. სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი (მძლეოსნობა);
7. სპორტის ოსტატი კ. ასათიანი (ფეხბურთი);
8. სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეტრეველი (ჩოგბურთი);
9. სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. ბერიაშვილი (ჭიდაობა);
10. სპორტის ოსტატი რ. ძოძუაშვილი (ფეხბურთი).

ჟურნალისტების არჩევანს კომენტარი არ სჭირდება — ამ ათეულში მოხვდნენ საქართველოში ერთობ პოპულარული ექვსი სახეობის — ჭიდაობის, ჭადრაკის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთისა და ველოსპორტის წარმომადგენლები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ათივე სპორტსმენი წლეულს წარმატებით გამოდიოდა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

როგორც წინა წლებში, ფედერაციამ დაასახელა ჟურნალისტები, რომელთა აზრიც საუკეთესოთა ათეულზე ყველაზე მეტად მიუახლოვდა საბოლოო შედეგს. ამჯერად ყველაზე „ზუსტი წინასწარმეტყველები“ აღმოჩნდნენ გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ საზოგადოებრივი სპორტული მიმომხილველი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. პოლოსიანი და საქართველოს დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი გ. ჭანიშვილი. მათ სწორად დაასახელეს მთელი ათეული. (საქდესი).

ფოტო ო. ველაშვილისა.
ნახ. გ. იაშვილისა.

ერთსულოვანი აღიარება

ჰელსინკი, 30 დეკემბერი. ფინეთის სპორტულ რედაქტორთა კავშირმა უკვე 23-ედ ჩაატარა ტრადიციული გამოკითხვა თავისი ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენის დასადგენად. 1969 წელს პირველობა ერთხმად მიაკუთვნეს მსოფლიო ჩემპიონსა და რეკორდსმენს, ძალოსან კაარლო კანგასნიემის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. გაფრინდაშვილი

ნ. ალექსანდრია

ა. მეტრეველი

კ. ასათიანი

რ. რურუა



ო. ფხაკაძე

შ. ლომიძე

ვ. სანეევი



დ. შანიძე

ყველაზე პოპულარულნი

„დაასახელეთ 10 საუკეთესო“ — ამ წინადადებით მიმართა ჩვენმა გაზეთმა თავის მკითხველებს.

„ლელოს“ საახალწლო კონკურსი მიზნად არ ისახავს საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა ვინაობის დადგენას, ვინაიდან მკითხველთა ნაწილი ამ საკითხის გადაწყვეტაში ნაკლებად კომპეტენტურია. ჩვენი კონკურსის საშუალებით ირკვევა მხოლოდ ამა თუ იმ სპორტსმენის პოპულარობის დონე.

რედაქციაში უამრავი წერილი შემოვიდა, რომელთა გაცნობის შემდეგ დადგინდა საქართველოში ყველაზე პოპულარულ სპორტსმენთა ათეული. აი, ისიც:

1. ნ. გაფრინდაშვილი (ჭადრაკი) — 3129 ქულა
2. ნ. ალექსანდრია (ჭადრაკი) — 2008
3. ა. მეტრეველი (ჩოგბურთი) — 1481
4. კ. ასათიანი (ფეხბურთი) — 1415
5. რ. რურუა (ჭიდაობა) — 1381
6. ო. ფხაკაძე (ველოსპორტი) — 1365
7. შ. ლომიძე (ჭიდაობა) — 1299
8. ვ. სანეევი (მძლეოსნობა) — 1255
9. დ. შანიძე (ძალოსნობა) — 1221
10. თ. ლეკვეიშვილი (ცურვა) — 1201

მკითხველისთვის, გვიქრობთ, საინტერესო იქნება მეორე ათეულიც, რომელშიც თანმიმდევრობით შევიდნენ: კალათბურთელი ზ. საკანდელიძე, ფეხბურთელები რ. ძოძუაშვილი და მ. ხურცილავა, მოჭიდავე ზ. ბერიაშვილი, ფეხბურთელები ხ. მეტრეველი და ჯ. ხერხაძე, მსროლელი შ. ქველიაშვილი, მოჭიდავე ა. ქიბროწაშვილი, ტრამპლინიდან მხტომელი კ. წაქაძე და ფეხბურთელი გ. ნოდია.

საუკეთესოთა შორის ასევე დასახელებული არიან: მთამსვლელი მ. ხერგიანი, ფეხბურთელები მ. მესხი, გ. პეტრიაშვილი, ლ. ნოდია, თ. ღოღობერიძე, კალათბურთელები ა. სხიერელი, მ. ქორქია, ვ. უგრეხელიძე, ვ. ალთაბაევი, ლ. მოსეშვილი, ა. ლეუავა, ჩოგბურთელები თ. კაკულია, ა. ივანოვა, მოჭიდავეები ტ. ალიბეგაშვილი, გ. სალარაძე, ნ. ხოხაშვილი, ფ. მარტყოფლიშვილი, ო. ბლიაძე, გ. ონაშვილი, მოჭადრაკეები თ. გიორგაძე, ბ. გურგენიძე, ც. კობაიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, მძლეოსნები გ. გუდაშვილი, ვ. ქუთათელაძე, თ. მდინარაძე, ც. ლიპარტელიანი, მ. ოყროშიძე, ტანმოვარჯიშეები მ. ბოგუსი, ა. ნოზაძე, რ. სიხარულიძე, რ. ბერიკაშვილი, მოფარიკავეები ი. სიხარულიძე, ნ. ასათიანი, წყალბურთელები ვ. ისელიძე, ო. მიმინოშვილი, მაგიდის ჩოგბურთელი ხ. სარხოიანი, ხელბურთელები ჯ. ცერცვაძე, ი. ფხაკაძე, ძალოსანი რ. ტარკილი, რეგბისტი ზ. ხარშილაძე, მოტოციკლისტი ვ. კლიმენტიევი.



თ. ლეკვეიშვილი

ზარბაზნით... ღრუბლებთან ბრძოლაში

ალაზნის ველზე ჩამოწოლილი სიჩუმე ზარბაზნის ქუხილმა დაარღვია. სამიზნე ცოტა უჩვეულო იყო: ღრუბლები...

სულ ცოტა ხნის წინ ბევრმა როდი იცოდა, რომ „არტილერისტები“ სეტყვასაც ებრძვიან და ვენახებს სტიქიონის შემოტევისგან იფარავენ. ახლა ამ მეთოდმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სპეციალისტთა ჯგუფმა კი ახალი მეთოდის დამუშავებისა და დანერგვისთვის სახელმწიფო პრემია მიიღო. დაჯილდოებულთა შორისაა ინსტიტუტის ღრუბლების ფიზიკისა და აქტიური ზემოქმედების განყოფილების გამგე ამირან ჭარცივაძე.

არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა ამირანის ბედი, მას რომ თავისი ოცნების რწმენა არ ჰქონოდა.

ახალი, 1932 წლის წინ 12 წლის ბიჭი 150 სმ სიმაღლეზე გადახტა და მძლეოსნობის ენთუზიასტის ს. კოლაძის ყურადღება მიიქცია. ეს უკანასკნელი თავგამოდებით ცდილობდა შეექმნა მძლეოსანთა ჯგუფი და მიიღო ნებართვა საწვრთნელი მეცადინეობები ჩატარებინა „დინამოს“ სპორტულ ტირეში. აქ რამდენიმეჯერ გაიმართა ზამთრის შეჯიბრება მოკლე მანძილებზე რბენაში. ამირანს ასაკობრივი ცენზი არ ჰქონდა და... მოზრდილთა ჯგუფში III ადგილი დაიკავა 40 მეტრზე რბენაში.

მერე ნამდვილი წარმატება მოვიდა 1935 წელს „დინამოს“ სტადიონის გახსნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში. ამიერკავკასიის სპარტაკიადაში უფროსი ასაკის ჭაბუკთა ჯგუფში ამირანმა პირველი ადგილები დაიკავა 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში. ამასთან, ბოლო შედეგი — 14,25 მეტრი საკავშირო რეკორდი აღმოჩნდა.

ისევ ახალი წლის წინ — ამჯერად 1936 წლის დამდეგს თბილისში ჩამოვიდა ცნობილი საბჭოთა მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. სერგეევი და „თვითნასწავლ მორბენლებს“ ნამდვილი წვრთნის საშუალება მიეცათ. ახალ მწვრთნელს დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილი სპორტსმენების ე. გოკიელის, გ. ათანელოვის, ლ. ბერძენიშვილის, კ. ჭეიშვილის, თ. ბერელაშვილის, ლ. გიორგაძისა და სხვათა აღზრდაში.

როცა ლენინგრადში 8 ქალაქის შეჯიბრება ჩატარდა, ამირანმა კვლავ გაამარჯვა ჭაბუკთა ჯგუფში, ამასთან, რესპუბლიკური და საკავშირო რეკორდები დაამყარა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ იგი მოზრდილთა შორის რეკორდმენი, სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ ჩემპიონი, სსრ კავშირისა და პროფკავშირთა პირველობების ფინალისტი იყო და წლის საუკეთესო მძლეოსანთა ათეულშიც მოხვდა. ამ დროს შევიდა ამირანი თბილისის უნივერსიტეტში.

1941 წლის ივლისში საქართველოს მძლეოსნები უკრაინა — საქართველოს მატჩისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა — ომმა შეუშალა ხელი.

დემობილიზაციის შემდეგ ამირანი ფიზკულტურის ინსტიტუტში იწყებს მუშაობას მასწავლებლად მძლეოსნობის კათედრაზე. 1951 წელს იგი კვლავ მეცნიერულ მუშაობას დაუბრუნდა, გეოფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხა. მძლეოსანი — პირველთანრიგოსანი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გახდა მეცნიერი, რომელიც მთელ დროსა და მონდომებას საყვარელ საქმეს ახმარს.

— სპორტის საქმე როგორღაა, — ვეკითხებით ამირანს, — სულ დაანებეთ თავი?

— ალბათ კარგი იქნებოდა მეპასუხა, რომ კიდევ ვვარჯიშობ, დავრბივარ, რეკორდებს ვამყარებ. სამწუხაროდ, ყოველივე ამისთვის დრო არ მრჩება. ზაფხულობით ველად ვმუშაობთ, დილიდან საღამომდე ღრუბლებს შევცქერით. სპორტი უწინდებურად მიყვარს, სულ ვეუბნები თავს, რომ, როგორც კი მოვახერხებ, ისევ დავიწყებ ვარჯიშს, მაგრამ, ხომ ხედავთ, ვერ ვახერხებ. თან წლები გადის, ჩემთვის რეკორდების დამყარების ხანა წავიდა. თუმცა ისე, თავისუფალ დროს წვავარჯიშება მაინც ყველაფერს მირჩევნია.

დ. იმედაშვილი.

უნივერსიადა ურასისტებოდ

ბელგრადი, 30 დეკემბერი. 1970 წლის ზაფხულის უნივერსიადაში, რომელიც იტალიის ქალაქ ტურინში ჩატარდება, როდეზია მონაწილეობას ვერ მიიღებს. საერთაშორისო საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის აღმასკომის ეს გადაწყვეტილება, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ დუბროვნიკში მიიღეს, გამოაქვეყნა ტანიუგის საგენტომ.

დუბროვნიკის სხდომაზე განიხილეს 1970-1971 წლების სტუდენტური შეჯიბრებების პროგრამაც. როგორც ცნობილია, ზამთრის უნივერსიადა ფინეთში ჩატარდება: ჰოკეისტთა ტურნირი გაიმართება ტამპერეში, ფიგურისტებისა — ჰელსინკში, მოთხილამურეებისა და მოციგურავეებისა — — როვანიემში. დღისთვის ზამთრის უნივერსიადაში მონაწილეობის სურვილი 25 ქვეყნის გუნდებმა გამოთქვეს.

ზაფხულის უნივერსიადისთვის განაცხადები 50 ქვეყნის წარმომადგენლებმა გაგზავნეს.

ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა ისიც, რომ ევროპის II საუნივერსიტეტო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდება 1970 წლის ივლისში იუგოსლავიაში. ფიქრობენ, რომ სარბიელზე გამოვა 16 სტუდენტური ნაკრები.

(საკდესი).

აი, ვინ გვასახელა 1969 წელს...

...მსოფლიო ჩემპიონატებში

ნ. გაფრინდაშვილი. სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. სამგზის მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი.
რ. რურუა. სამგზის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში.
შ. ლომიძე. მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.
ზ. ბერიაშვილი. მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.
დ. შანიძე. მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში (აკვრა).
ნ. ალექსანდრია. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში (გუნდური ჩათვლა).
თ. გიორგაძე. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში (გუნდური ჩათვლა სტუდენტთა შორის).
ა. ხოხაშვილი. მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში.
ა. მელაძე. მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში.
შ. მორჩილაძე. მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში.
ო. ფხაკაძე. ვერცხლის მედალი ველოსპორტში.
ო. გლიაძე. ვერცხლის მედალი კლასიკურ ჭიდაობაში.
კ. ხუთიაშვილი. ვერცხლის მედალი იუნიორთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში.
თ. გეგეშიძე. ვერცხლის მედალი იუნიორთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში.
შ. ლუტიძე. ვერცხლის მედალი იუნიორთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში.
დ. შანიძე. ბრინჯაოს 2 მედალი ძალოსნობაში (სამჭიდი და ატაცი).
ნ. ხოხაშვილი. ბრინჯაოს მედალი თავისუფალ ჭიდაობაში.
ტ. ალიბეგაშვილი. ბრინჯაოს მედალი თავისუფალ ჭიდაობაში.
გ. ონაშვილი. ბრინჯაოს მედალი ძიუდოში.
დ. შარაშენიძე. ბრინჯაოს მედალი იუნიორ ესპადრონისტთა შორის.

...ევროპის ჩემპიონატებში

შ. ქველიაშვილი. ევროპის ჩემპიონი ტყვიის სროლაში (ოქროს 2 მედალი).
დ. შანიძე. ევროპის ჩემპიონი აკვრასა და ატაცში.
შ. ლომიძე. ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.
ვ. ხანეევი. ევროპის ჩემპიონი მძლეოსნობაში.
ზ. საკანდელიძე. ევროპის ჩემპიონი კალათბურთში.
ს. კოვალენკო. ევროპის ჩემპიონი კალათბურთში.
თ. ლეკვეიშვილი. ევროპის თასის მფლობელი ცურვაში.
ვ. კლიმენტიევი. ევროპის ჩემპიონი სპიდვეიში.
დ. შანიძე. ვერცხლის მედალი ძალოსნობაში (სამჭიდი).
ნ. ხოხაშვილი. ვერცხლის მედალი თავისუფალ ჭიდაობაში.
გ. ონაშვილი. ვერცხლის მედალი ძიუდოში.
ა. ქიბროწაშვილი. ვერცხლის მედალი ძიუდოში.
რ. მაღალთაძე. ბრინჯაოს მედალი ძიუდოში.
შ. ქველიაშვილი. ბრინჯაოს მედალი ტყვიის სროლაში.

...სსრ კავშირის ჩემპიონატებში

ა. ქიბროწაშვილი. სსრ კავშირის ჩემპიონი სამბოში.
ო. ფხაკაძე. სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი ველოსპორტში.
ნ. ალექსანდრია. სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში.
ვ. ხანეევი. სსრ კავშირის ჩემპიონი მძლეოსნობაში.
დ. შანიძე. სსრ კავშირის ჩემპიონი ძალოსნობაში.
ზ. ბერიაშვილი. სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.
ნ. ხოხაშვილი. სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.
ა. მეტრეველი. სსრ კავშირის ჩემპიონი ჩოგბურთში (ერთეულთა თანრიგში).
თ. კაკულია. სსრ კავშირის ჩემპიონი ჩოგბურთში (წყვილთა შორის).
ს. სარხოიანი. სსრ კავშირის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში (წყვილთა შორის).
თ. ლეკვეიშვილი. სსრ კავშირის ჩემპიონი ცურვაში.
ლ. გურჩიანი. სსრ კავშირის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში (წყვილთა შორის).
ი. გელდიაშვილი. სსრ კავშირის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში (წყვილთა შორის).
საქართველოს ნაკრები. სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.
„დინამო" (თბილისი). სსრ კავშირის თასის მფლობელი კალათბურთში.
„სინათლე" (თბილისი). სსრ კავშირის თასის მფლობელი ფიზკულტურის კოლექტივებს შორის ფეხბურთში.
ვ. ბორჩაშვილი. ვერცხლის მედალი სამბოში.
ა. მარტყოფლიშვილი. ვერცხლის მედალი სამბოში.
ა. ცხოვრებოვი. ვერცხლის მედალი თავისუფალ ჭიდაობაში.
ლ. თედიაშვილი. ვერცხლის მედალი თავისუფალ ჭიდაობაში.
თ. ლეკვეიშვილი. ვერცხლის მედალი ცურვაში.
გ. გუდაშვილი. ვერცხლის მედალი მძლეოსნობაში.
კ. წაქაძე. ვერცხლის მედალი სათხილამურო სპორტში.
ს. სარხოიანი. ვერცხლის მედალი მაგიდის ჩოგბურთში.
„დინამო" (თბილისი). II ადგილი კალათბურთში.
საქართველოს ნაკრები. II ადგილი კლასიკურ ჭიდაობაში.
საქართველოს ნაკრები. II ადგილი კლდეზე ცოცვაში.
ო. ფხაკაძე. ბრინჯაოს მედალი ველოსპორტში.
გ. ბეინიშვილი. ბრინჯაოს მედალი სამბოში.
ნ. ბეინიშვილი. ბრინჯაოს მედალი სამბოში.
ო. ერემეიშვილი. ბრინჯაოს მედალი სამბოში.
ა. მარგველანი. ბრინჯაოს მედალი სამბოში.
გ. გზირიშვილი. ბრინჯაოს მედალი სამბოში..
შ. მირიანაშვილი. ბრინჯაოს მედალი მთამსვლელობაში.
ო. ხაზარაძე. ბრინჯაოს მედალი მთამსვლელობაში.
გ. აბაშიძე. ბრინჯაოს მედალი მთამსვლელობაში.
დ. დანგაძე. ბრინჯაოს მედალი მთამსვლელობაში.
ე. აბაჯიანი. ბრინჯაოს მედალი სროლაში.
გ. თავდიდიშვილი. ბრინჯაოს მედალი სროლაში.
ლ. ჟურული. ბრინჯაოს მედალი სროლაში.
ვ. კრატასიუკი. ბრინჯაოს მედალი ნიჩბოსნობაში.
„დინამო" (თბილისი). III ადგილი ფეხბურთში.
საქართველოს ნაკრები. III ადგილი სამბოში.

ეპოქის მოთხოვნილება

რუსთაველის პრემიის ლაურეატს, საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს ქუჩაში რომ შეხვდეთ, ვერ იტყვით, ამ კაცმა სამოცდაათს გადააბიჯაო. ახლა წყნეთში, თავის ბაღში მოფუსფუსე უნდა ნახოთ! სწორედ ამიტომ დავინტერესდით, რა ადგილი ეჭირა მხატვრის ცხოვრებაში სპორტს... ეს იმანაც გვაფიქრებინა, რომ გუდიაშვილის შემოქმედებაში, ყოველ შემთხვევაში, მის ადრეულ პერიოდში, სპორტულ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს არც თუ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

ბატონი ლადო სიამოვნებით გვესაუბრა:

— ჩემი მამიდაშვილები ელიზე და გიორგი ავალიშვილები გატაცებული შევარდენისტები იყვნენ. მათი მიბაძვით მეც ტანვარჯიშს მოვკიდე ხელი და გიორგის თვითნაკეთ ძელზე ვვარჯიშობდი. მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, სპორტს დიდ დროს ვერ ვუთმობდი, ვინაიდან ჩემი ძირითადი გატაცება და ცხოვრების მიზანი მხატვრობა გახლდათ.

... ტანვარჯიშით გატაცებაზე მოგახსენებდით. ეს ამბავი ოციან წლებში ხდებოდა. შემდეგ დავით კაკაბაძე და მე საფრანგეთს გავემგზავრეთ სწავლის გასაგრძელებლად. ამ დროს პირველად ვნახეთ ეგრეთ წოდებული ხარების ბრძოლა, რამაც ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს ადამიანის ბნელი, მხეცური ინსტინქტების გამოვლენას უწყობდა ხელს. ამ უცნაურმა სანახაობამ ცნობილი ესპანელი მხატვრის ფრანსისკო გოიას შემოქმედებაში დიდი ადგილი ჰპოვა. დაკვირვებული თვალი მყისვე შენიშნავს, რომ ესპანელი მხატვარი მახში კოშმარულ სურათებს ხედავს.

... პარიზში ცხოვრების დროს ხშირად დავდიოდი ფეხბურთზე, წყალბურთზე, ჩოგბურთზე. დავსწრებივარ პროფესიონალ მოკრივეთა შეხვედრას. ამ სანახაობამ ისე შემზარა, რომ შემდეგ დიდხანს გული აცრუებული მქონდა საერთოდ სპორტზე.

... თანამედროვე ადამიანის გატაცება სპორტით, ვფიქრობ, ეპოქის დამახასიათებელი მოთხოვნილებაა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სპორტმა შთანთქა ადამიანური მოღვაწეობის სხვა სფეროები.

ჩემი აზრით, არ შეიძლება სპორტს წავართვათ შეჯიბრების სახე. თუ ასე მოხდა, მაშინ სპორტული ასპარეზობა მხოლოდ სანახაობად იქცევა, რაც მის არსებით ნიშანს გამორიცხავს. ჩემი თაობის ადამიანები დიდ პატივს ვცემდით სპორტსმენებს და ხშირად დავდიოდით შეჯიბრებებზე. 30-ან წლებში განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ფეხბურთმა. ჩვენ აღტაცებით ვადევნებდით თვალს ისეთი შესანიშნავი ოსტატების თამაშს, როგორიც იყვნენ ა. ჟორდანია, ბ. პაიჭაძე და ბევრი სხვა.

განსაკუთრებით გვიყვარდა ჭადრაკი. სწორედ მაშინ გამოჩნდა მთელი სისრულით ჭადრაკის შესანიშნავი ოსტატის ვ. გოგლიძის ნიჭი. ცნობილია, რა გატაცებული მოჭადრაკე გახლდათ პოეტი პაოლო იაშვილი, რომელმაც ლექსიც უძღვნა გოგლიძეს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ძალზე კარგი საქმე ითავეს ქართული სპორტის მესვეურებმა, როდესაც გოგლიძის მემორიალი მოაწყვეს. ვიქტორი ნამდვილად იმსახურებს ამ პატივისცემას.

ჩემი აზრით საჭიროა სხვადასხვა სფეროს მუშაკებს მეტი კონტაქტი გვქონდეს ერთმანეთთან. ეს კარგის მეტს არას მოგვიტანდა.

დასასრულს მსურს შემოგთავაზოთ ჩემი სურათი „ცხენბურთი ძველად", ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ქართველ სპორტსმენებსა და ამ საქმის გულშემატკივართ ახალ წელს.

საუბარი ჩაიწერა ა. მხეიძემ.



მეტისმეტიც არ ვარგა!

საახალწლო ფელეტონი

საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო შეხვედრებმა უძლიერესი ვერ გამოავლინა. მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" შორის გადამწყვეტი მატჩი დაინიშნა. მოსკოველებმა უარი თქვეს ეთამაშათ ნეიტრალურ მინდორზე და ფინალი თბილისის „დინამოს" ახლად აგებულ სტადიონზე მოეწყო. შეუდარებელნი იყვნენ ამ დღეს დინამოელები. სწრაფი კომბინაციები, მეტოქის კარში ყუმბარისებური დარტყმები, გოლები და მერე რა გოლები! საინტერესო ბრძოლა ჩვენების გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. „დინამომ" მეორედ იზეიმა სსრ კავშირის ჩემპიონობა.

ამ დღეს არანაკლებ დიდი ამბავი მოხდა თბილისის სპორტის სასახლეში. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი და ჩეხოსლოვაკიელი კალათბურთელები, ჩვენებმა უზადო თამაშით ისე დააბნიეს სტუმრები, რომ, როცა ანგარიში 107:21 გახდა, მათ სრული კაპიტულაცია გამოაცხადეს და თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე დატოვეს სარბიელი.

საოცრება ხდებოდა ლენინის სახელობის სპორტდარბაზში. აქ ფრენბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ბურევესტნიკისა" და ცსკა-ს გუნდები. გაიმარჯვეს ჩვენმა დედაქალაქის სპორტსმენებმა.

„სოვეტსკი სპორტის" ახალმა ნომერმა სულ გამაგიჟა. გაკვირვებული ვკითხულობდი ამ გაზეთში დაბეჭდილ ინფორმაციებს:

კიევი. გაიმართა მოკრივეთა საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატი. საუკეთესოდ იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა. მათ გუნდური ჩემპიონობაც გაინაღდეს და პირად ჩათვლაშიც ისახელეს თავი — 7 ქართველი მოკრივე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

ლონდონი. უიმბლდონის ტურნირში წარმატებით იბრძვიან ა. მეტრეველი და მისი თანაქალაქელი ჩოგბურთელები.

თბილისი. კარგი საჩუქარი მიიღეს ამ ქალაქის სპორტის მოყვარულებმა. საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საზაფხულო საცურაო აუზი. საინტერესო იყო სსრ კავშირის ჩემპიონის — თბილისის „დინამოსა" და უნგრეთის ჩემპიონის მატჩი. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში დამთავრდა საბჭოთა წყალბურთელების გამარჯვებით — 4:0.

გორკი. ვოლგისპირა ქალაქში გამართულ რიკაობის ოსტატთა საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის სპორტსმენებმა. ყველა საპრიზო ადგილი მათ დაიკავეს.

მოსკოვი. დღეს აქ ჩამოვიდა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი როდონი (იტალია). ბ-ნ როდონის ვიზიტის მიზანია თბილისის ახალი ტრეკის საზეიმო გახსნაზე დასწრება.

— მეტისმეტიც არ ვარგა, გამისკდება გული ამდენი სიხარულისგან, — წამოვიყვირე მე.

ყვირილმა გამომაღვიძა...

ახალი წლის დილა იდგა.

ზ. ჯაფარიძე.



უსიტყვოდ.

ნახ. ნ. მანუკიანისა.

● მოსკოვი, 30 დეკემბერი. სსრ კავშირის მოთხილამურეებმა „ვეჩერნიაია მოსკვას" პრიზის გათამაშებით დაამთავრეს შეჯიბრებათა ციკლი პლანიორნაიას მიდამოებში. ქალები 4 კილომეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველას აჯობა გ. პილიუშენკომ (ცსკა) — 14.16,0 მასთან 4 წამი წააგო თ. ჩემეზოვამ (მოსკოვი, „ლოკომოტივი"). III ადგილზეა ლ. დორონინა (სვერდლოვსკი). საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი მოთხილამურენი ახლა საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობისთვის ემზადებიან: ქალები გდრ-ში იასპარეზებენ ვაჟები — იუგოსლავიაში. სსრ კავშირის ნაკრები კი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ტატრებში მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა, საბოლოოდ შეირჩევა სსრ კავშირის თასზე გამართულ შეჯიბრებაში. ეს ტურნირი იანვრის დამლევს ბაკურიანში ჩატარდება.

ტრასის დირექტორია ჟაკ ანკეტილი

შას შემდეგ, რაც ფრანგული ველოსპორტის მოყვარულთა კერპმა ჟაკ ანკეტილმა საზეიმოდ დატოვა აქტიური სპორტი, მას რამდენიმე საზოგადოებრივი დავალება დაეკისრა. ანკეტილი ქვეყნის ველოსპორტის ფედერაციასთან არსებული ველომრბოლელთა ასოციაციის პრეზიდენტი და პარიზ—ნიცის რბოლის ტრასის დირექტორია. ეს უკანასკნელი შეჯიბრება ყოველ წელიწადს ტარდება 9–16 მარტს. რეპორტიორები ხუმრობენ: ანკეტილმა ყველაზე უკეთ იცის ამ ტრასის ავკარგი, რადგან თვითონაც ბევრჯერ გამოუცდია მისი სიმძიმე.

ყოველი მხრიდან

კასიუს კლეი სცენაზე

რა უფრო იოლია: რინგზე ბრძოლა თუ სცენაზე გამოსვლა? კასიუს კლეი ორივეგან კარგად გრძნობს თავს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, მძიმე წონაში პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონს ამას წინათ დებიუტი ჰქონდა ბროდვეიზე მუსიკალურ კომედია „ბაკ უაიტში". მეორე დღეს თეატრალურმა და მუსიკალურმა მიმომხილველებმა აღფრთოვანებული წერილები უძღვნეს ოპერეტის ახალ ვარსკვლავს.

კ. ბარნსი „ნიუ-იორკ ტაიმსში" წერდა: „კლეის სასიამოვნო ხმა აქვს. იგი ძალდაუტანებლად მღერის და თამაშობს. როგორც ჩანს, მას კარგი მსახიობის ყველა მონაცემი აქვს". ჯ. ჩამენი „დეილი-ნიუსში" დასძენს: „კლეის დამაჯერებლად უჭირავს თავი სცენაზე და თავისი თამაშით პარტნიორებსაც შთააგონებს". რ. უოთსი „ნიუ-იორკ პოსტში" ასკვნის: „უბრალო მიუზიკლის დიდი ეფექტის სპექტაკლად გადაქცევა მხოლოდ ჭეშმარიტად ნიჭიერ მსახიობს შეუძლია. კლეი-მსახიობი არაფრით ჩამოუვარდება კლეი-მოკრივეს".

ს უ რ ა თ ზ ე: კასიუს კლეის სპექტაკლის შემდეგ შეხვდნენ მისი მეუღლე ბელინდა და გოგონა მირიამი.

XI ტური. რ. ხოლმოვი — ა. ლეინი (ორივე—მოსკოვი) 0,5:0,5, მ. ტალი (რიგა) — ა. სუეტინი (მოსკოვი) 1:0, ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი) 0,5:0,5, ე. ჰაავი (უნგრეთი) —ე. კოსტრო (პოლონეთი) 0,5:0,5, ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — ნ. სპირიდონოვი (ბულგარეთი) 1:0, დ. ბრონშტეინი (მოსკოვი) — ბ. გურგენიძე (თბილისი) 0,5:0,5, რ. ფუქსი (გდრ) — ლ. მაშიჩი (იუგოსლავია) 0,5:0,5, რ. ჯინჯიხაშვილი — ე. გუფელდი (ორივე — თბილისი) 0,5:0,5.

გუშინწინ გამართული შეხვედრების ნახევარზე მეტი ყაიმით დამთავრდა, თუმცა ხოლმოვ—ლეინისა და ჩოკილტია — შამკოვიჩის ბრძოლა საკმაოდ მწვავე იყო. გულშემატკივრები მაინც კმაყოფილი დარჩნენ, რასაც ტალსა და ჰორტს უმადლიან.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სასტიკად დასაჯა სუეტინი დებიუტში მდორე თამაშისთვის, — ტალს არ შეიძლება ინიციატივა დაუთმო.

აი, როგორ წარიმართა პარტია:

ტალი — სუეტინი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 a6 5. კd3 მe7

სუეტინი გვერდს უვლის ცნობილ სისტემებს და ზედმეტ დროს კარგავს ფიგურების განვითარებაზე, რაც ძვირად უჯდება.

6. მc3 მbc6 7. მb3 მg6 8. 0—0 b5 9. კe3 d6 10. f4 კe7 11. ლh5

ტალი საიერიშოდ განეწყო. ლაზიერი მზადაა შავი მეფის დასალაშქრად.

11. ... კf6 12. ეad1 კ:c3

ტალი ქომაგებს ახარებს

ეს კუ ალბათ დაცვისთვის უფრო საჭირო იყო. სუეტინის ცენტრში დარჩენილი გვირგვინოსანი კომბინაციური იერიშის შესანიშნავი მიზანია. ტალი ჩვეული ბრწყინვალებით უტევს მას.

13. bc ლc7 14. ეd2 მce7 15. მd4 კd7 16. f5 ef 17. ef მe5

სუეტინი



ტალი

18. მe6!

ტალის მახვილი საჭადრაკო თვალი მუდამ აგნებს ასეთ შეწირვას. როგორც ჩანს, რიგელ დიდოსტატს უკვე აქ ლაზიერის შეწირვა ჰქონდა გულში. მხედრის აყვანა აუცილებელია.

18. ... კ:e6 19. fe g6 20. ლ:e5!! de 21. ef+

სუეტინი დანებდა, რადგან 21. ... მფf8 22. კh6×. 21. ... მფd7-ს მოჰყვებოდა 22. კf5++ მფe6 23. კe4+.

მზარდი ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ჰორტი ამ ბოლო დროს დიდი ძალით თამაშობს. შემთხვევითი როდია, რომ იგი „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრებში მესამე დაფაზე (რ. ფიშერისა და ბ. ლარსენის მერე) დასვეს. ბუნებრივია, ჰორტს თბილისშიც სურს ისახელოს თავი. ამიტომ შესაშური მონდომებით ეთამაშა სპირიდონოვს.

პოზიციურ ჭიდილში ჰორტმა პაიკის მოგება შეძლო, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი უპირატესობა გახლდათ. ტექნიკურად გამართული თამაშით მან შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

11 ტურის შემდეგ მ. ტალს, ვ. ჰორტსა და ბ. გურგენიძეს 8-8 ქულა აქვთ, ე. გუფელდსა და ვ. ჩოკილტიას—6,5-6,5, ა. სუეტინს, ნ. სპირიდონოვს, დ. ბრონშტეინსა და რ. ჯინჯიხაშვილს — 5,5-5,5.

დღეს მემორიალის მონაწილენი ისვენებენ. XIII ტური შედგება 2 იანვარს, XIV — 3 იანვარს დილის 10 საათიდან რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში, სადაც საერთოდ ტურნირი მიმდინარეობს.

თ. გიორგაძე.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: მ. ტალი (მარცხნივ) და რ. ჯინჯიხაშვილი თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

20:45

◆ ტალინი, 31 დეკემბერი. ესტონეთის საუკეთესო სპორტსმენად მესამე წელია ზედიზედ ასახელებენ მსოფლიო ჩემპიონს, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს, ძალოსან ი. ტალტსს. ეს ამბავი თავის მკითხველებს დღეს ამცნო რესპუბლიკურმა გაზეთმა „სპორდილეჰტმა". ჟურნალისტთა ტრადიციულ საახალწლო ანკეტაში ქალთა შორის პირველია ოლიმპიური ჩემპიონი ს. ჩიროკოვა. თავის მეგობრებთან ერთად მან მეხიკოს საფარიკაო ბილიკებზე ოქრო მოიხვეჭა გუნდურ შეჯიბრებაში.

◆ **ფრუნზე, 31 დეკემბერი.** ყირგიზეთის 10 საუკეთესო სპორტსმენის სიაში პირველი სტრიქონი ევროპის ორგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენს, მოცურავე ა. ანარბაევს უჭირავს. სპორტულ სიარულში დიდი საკავშირო შეჯიბრებების პრიზიორი ო. ბარჩი II ადგილზეა. მესამეა თავისუფალი სტილის მოჭიდავე ჯ. დონბაევი.

◆ სოფია, 31 დეკემბერი. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ტრადიციულ საერთაშორისო ანკეტაში — — „1969 წლის № 1 სპორტსმენი" — მსოფლიოს უდიდესმა საინფორმაციო სააგენტოებმა მიიღეს მონაწილეობა. ანკეტაში ყველაზე მეტი ხმა ერგო დედამიწის ზურგზე პირველ უროს მტყორცნელს, რომელმაც ეს იარაღი 75 მეტრს გადააცილა — მსოფლიო რეკორდსმენსა და ევროპის ჩემპიონს, როვნოელ ასპირანტს ა. ბონდარჩუკს. საუკეთესოთა ათეულში V ადგილზეა მსოფლიო რეკორდსმენი ბირთვის კვრაში, ლენინგრადელი ნ. ჩიჟოვა.

◆ **ბუდაპეშტი,** 31 დეკემბერი. უნგრეთის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს არსებობის 25 წლის მანძილზე ამ ქვეყნის სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპულ ჩემპიონატებში, აგრეთვე, უნივერსიადებში 413 უმაღლესი წოდება მოიხვეჭეს. ექვს ოლიმპიადაში, რომლებშიც უნგრეთმა 1945 წლის შემდეგ იასპარეზა, მისი წარმომადგენლები 61-ჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის „ოქროს საფეხურზე".

სხვათა შორის

მიწისქვეშა „სამეფოში"

როგორც ჩანს, იუგოსლავიელი მ. ველკოვიჩი ახალ წელს უჩვეულო საზოგადოებაში იზეიმებს. 34 წლის სპელეოლოგი აგერ უკვე 188-ე დღეა კოპაი-კოზარის ახლოს მღვიმეში, 200 მეტრ სიღრმეზე ცხოვრობს. მას თან ჰყავს ძაღლი, კატა, ცხვარი, წიწილები და იხვები. ველკოვიჩი წერს დიდ შრომას, სადაც მოცემული იქნება ადამიანისა და ცხოველების ორგანიზმზე ამგვარი პირობების გავლენის შედეგები. სპელეოლოგს განზრახული აქვს მღვიმეში დარჩეს მომავალი წლის შემოდგომამდე, ესე იგი, 463 დღის განმავლობაში არ ნახოს მზის სინათლე.

შედარებისთვის შეიძლება გავიხსენოთ ფრანგი მკვლევარი ჟან-პიერ მარიტე, რომელმაც სამი წლის წინ 181 დღე გაატარა მღვიმეში.

ი. ლებედევი.

(„პრავდა", 28 დეკემბერი. 1969 წ.).

30 წლის შემდეგ

ინგლისელი მეზღვაური, ყოფილი მოკრივე რ. პარკერი კუჭის წყლულის დიაგნოზით საოპერაციოდ საავადმყოფოში მოათავსეს. და აი, ქირურგმა მას კუჭიდან ამოუღო... სამი კბილი.

როგორც გამოირკვა, 30 წლის წინათ რინგზე ერთ-ერთი მატჩის დროს პარკერს მეტოქე პირდაპირი ძლიერი დარტყმით გამასპინძლებია. მართალია, პარკერს ეს შეხვედრა მოუგია, მაგრამ გასახდელში აღმოუჩენია, რომ სამი კბილი აღარ ჰქონდა და უფიქრია, ალბათ რინგიდან ჩამოსვლისას გადმოვაფურთხეო.

სინამდვილეში კი ბრძოლის აზარტში შესულ სპორტსმენს ვერც კი შეუმჩნევია, როგორ გადაყლაპა სამივე კბილი.

ტაქტიკას განსაზღვრავს მანქანა

კიბერნეტიკა თამამად იჭრება სპორტში. დღეს ელექტროგამომთვლელ მანქანებს შეუძლიათ გამოავლინონ ყველა დროის უძლიერესი მოკრივე, საჭადრაკო დაფებთან რობოტები თანაბარი ძალით ებრძვიან დიდოსტატებს.

ახლა მანქანები განსაზღვრავენ კალათბურთის ტაქტიკასაც. მაგალითად, ამერიკის სტუდენტური გუნდის „მორტონის" წევრები ყოველი თამაშის წინ სპეციალურ ელექტროგამომთვლელ მანქანაში სდებენ მონაცემებს მეტოქის გუნდის წევრების შესახებ (სიმაღლე, ასაკი, წონა, ტყორცნის სიზუსტე, ფარქვეშ ბრძოლის სიზუსტე, რბენის სისწრაფე და ა. შ.). მანქანა იძლევა გარკვეულ პასუხს იმის შესახებ, თუ როგორი ტაქტიკის გამოყენება სჯობს.

ამ მანქანის პირველად გამოყენების დღიდან „მორტონმა" მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო. მაგრამ გუნდის კაპიტანმა ჰაუელმა განაცხადა: „ამ მარცხში ჩვენ თვითონ მიგვიძღვის ბრალი, რადგან მონაცემების შედგენის დროს მოვტყუვდით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მწვრთნელი-რობოტი უშეცდომოდ მუშაობს".

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 4 იანვარს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.